



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №27

2016 წელი 29 აგვისტო
ქალაქი ახალციხე

„რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში 2017 წლის პრიორიტეტების და სავარაუდო ღირებულებების ჩამონათვალის მოწონების თაობაზე“

„საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონალური პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში 2017 წლის განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტების და სავარაუდო ღირებულებების ჩამონათვალი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მეზაღიშვილის ქ.#62.)

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე